სინგაპურის წარმატების საიდუმლო

მარიამ იაშაღაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის დაშლამ გამოიწვია ახალი ერის სახელწიფოების წარმოქმნა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ამ ქვეყნებს ქონდათ გარკვეული საერთო სტრუქტურული მახასიათებლები, როგორიცაა საუკუნოვანი კოლონიური ექსპლუატაცია, არასაკმარისი ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, სტაბილური პოლიტიკური ხელმძღვანელობის არქონდა, სრულიად უთანასწორო სოციალური სტრუქტურა და სიღარიბის ქვეშ განვითარებული საბაზრო სისტემა. ამდენად აფრო-აზიის ქვეყნებში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ძირითად მიზანს, მასიური ერის მშენებლობის პროცესში, ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოების შექმნა წარმოადგენდა.

სინგაპურმა ბოლო ორმოცდახუთი წლის მანძილზე სწრაფი ტრანსფორმაცია გაიარა. აქ მეწარმეობის საწყისი, ვაჭრობისა და მომსახურეობის სფეროში, სათავეს 1960-იანი წლების ბოლოდან იღებს და ამჟამად სპეციალიზირებულია მაღალი ღირებულების წარმოების საქმიანობაში და იგი აღმოსავლეთ აზიაში ბიზნეს-მომსახურების კუთხით რეგიონალური ფინანსური ცენტრია.

საკვანძო სიტყვები: ეკონიმიკა, კაპიტალი, ქვეყნები, ტექნოლოგია, კონკურენტუნარიანობა, გლობალური, ბაზრები, პოლიტიკა, ზრდა, კომპანიები, ინვესტიცია, მოსახლეობა, რისკები, განვითარება.

THE SECRET OF SUCCESS IN SINGAPORE

Mariam Iashagashvili
PhD Student Georgian Technical University

RESUME

The collapse of imperialism and colonialism after the Second World War caused emergence of new nation states in Asia, Africa and Latin America. These countries had certain common structural features like centuries of colonial exploitation, absence of stable political governance , lack of economic infrastructure, unequal social structure and under developed market system. Thus, after the independence in the Afro-Asian states, the main objective was to create a framework for effective socio-economic policy in the process of building massive nations. Singapore has gone through a rapid transformation during the last forty-five years. In Singapore, in the field of enterprise trade and services, it has begun from the end of the 1960s and is currently specialized in high-value manufacturing activities and is a Regional Financial Center for Business Services in East Asia.

Keywords: Economic, Capital, Countries, Technology, Competitiveness, Global, Innovation, Markets, Policy, Companies, Investment, Population, Growth, Risks, Development.

ძირითადი ტექსტი

სინგაპური მსოფლიოს ერთადერთი კუნძულოვანი ქალაქ-სახელმწიფოა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიაში. მისი მოსახლეობა 5 მილიონს აჭარბებს, ხოლო ტერიტორია 714 კვ.კმ. შეადგენს. მშპ-ის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე ქვეყანა მსოფლიოში მე-3 ადგილზეა. მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ბრიტანეთს თავისი ქვეყნის დაცვის უზრუნველსაყოფად ჯარის ნაწილები ევროპაში ჰყავდა გადასროლილი და შესაბამისად სინგაპურს ვერ დაეხმარა ,იაპონიამ თავისუფლად შეძლო სინგაპურის დაპყრობა. თუმცა მალევე ბრიტანალებმა მოახერხეს იაპონელების გაძევება და დაიბრუნეს კონტროლი სინგაპურზე. სინგაპურის მოსახლეობა მუდმივად გამოთქვამდა უკმაყოფილებას ქვეყნის მმართველობაში გარეშე ძალების არსებობასთან დაკავშირებით და ძალიან მალე ჩამოყალიბდა სახალხო მოძრაობის პარტია, რომელმაც არჩევნები მოიგო და ბრიტანეთი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო, რაც დასრულდა დამოუკიდებლობის მიღების აქტით 1963 წელს. რესურსების უკმარისობის გამო სინგაპურმა მალაიზიის ფედერაციასთან მიერთება გადაწყვიტა, თუმცა ეს კავშირიც ძალიან მალე დასრულდა.

მსოფლიოში აღიარებული ექსპერტები სინგაპურის წარმატებას პრემიერ მინისტრს ლიკუან იუს მიაწერენ. იგი პრემიერის რანგში მოღვაწეობდა 1959 წლიდან 1990 წლის ჩათვლით. ქვეყნის წინსვლის და წარმატების მთავარ გარანტად იგი მიიჩნევდა განათლებას, ეთიკას და ეთნიკურ ტოლერანტობას[1]. ქვეყანას რამდენი წელი პრობლემები ჰქონდა ბუნებრივი რესურსების და ტერიტორიის უკმარისობის გამო, თუმცა თანდათანობით, ადამიანური რესურსების წყალობით, იგი სწრაფად განვითარდა. სინგაპური წარმოადგენს გლობალურ სავაჭრო და ფინანსურ ცენტრს.

სინგაპურმა შეძლო თავის ქვეყანაში მოეზიდა საერთაშორისო მეწარმეები რათა განვითარებადი ქვეყნებისათვის ექსპორტის გზით შეეთავაზებინათ ადგილობრივი პროდუქცია. როგორც ჩანს უცხოური ინვესტიცია და ექსპორტის ზრდა გახდა სინგაპურის

1 Lee, K. Y. (1997). The Singapore Stor. Singapore : Times Media Private Limited.

ეკონომიკის გაძლიერების და ზდრის საწყისი. საქონლის, კაპიტალის და ცოდნის ტრანსფერი განვითარებულ ქვეყნებს და სინგაპურს შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო . სინგაპურმა მოიცვა გლობალიზაცია ერთი თაობით ადრე, ვიდრე სხვა მესამე ქვეყნებმა, იმიტომ , რომ მას არ ჰქონდა სხვა არჩევანი საკუთარი შეზღუდული რესურსების გამო.

იმისათვის რომ ამოვხსნათ რაში მგომარეობს სინგაპურის ეკონომიკის წარმატების ფორმულა, მნიშვნელოვანია იმ უპირატეს საკითხებში გარკვევა, რომლებიც ადგენენ განვითარებადი ქვეყნების მმართველობის გავლენას სინგაპურზე.

1960-იანი წლების შუა პერიოდში, სინგაპურის მთავრობამ საკმარისი კაპიტალი ვერ მოიზიდა ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის ინვესტიციებში, ამიტომ აუცილებელი იყო უცხოური კაპიტალის მოწვევა ამ უფსკრულის შესავსებად. მკაფიო გეგმა ამოქმედდა ინვესტიციების კეთილშობილური სტიმულირების უზრუნველსაყოფად და 1968 წელს იუნგოს საქალაქო კორპორაცია (JTC) შეიქმნა ეკონომიკური გაფართოების აქტთან ერთად, რომელსაც უნდა შეემუშავებინა დაბალი წარმოების ხარჯები უცხოელი ინვესტორებისთვის (ჯომო, 1989[2]). ეს იყო თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული მიდგომა. ამ მიდგომის თანახმად როგორც ადგილობრივ, ასევე ტრანსნაციონალურ კორპორაციებისათვის 5 დან 10 წლამდე პერიოდით ე.წ. „საგადასახადო არდადეგები „ გამოცხადდა. შემდგომი წლებიდან სინგაპურმა პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვანი ინიციატივა მიიღო, რაც შედარებით შრომატევადი იყო.

სინგაპურის მოდელი ეს იყო ერთგვარი სოციალური კონტრაქტი, მთავრობასა და ხალხს შორის. თავის შინაარსით ეს იყო დეკლარირება იმისა, რომ ადამიანებმა გამოხატეს სურვილი დაეთმოთ ზოგიერთი ინდივიდუალური უფლებები და მიეღოთ მთავრობის მხრიდან მეტი კონტროლი, მთავრობა კი შექმნიდა გარემოს რომელიც კეთილდღეობას ააყვავებდა და ცხოვრების ხარისხს ბევრად გააუმჯობესებდა. როგორც სინგაპურის ისტორიკოსი ჯიმ ბეიკერი აღნიშნავს, "ახალი სოციალური კონტრაქტის გამონათქვამები პირველად ეკონომიკურ ფრონტზე განიხილებოდა"[3] (ბეიკერი, 2000: 367). მალაიზიიდან გამოსვლისას, სინგაპურის ხელმძღვანელობამ განაცხადა ინვესტორების მისამართით , რომ სინგაპური იყო უსაფრთხო და სტაბილური ქვეყანა კაპიტალის განსათავსებლად. სინგაპურმა არა მარტო შეცვალა თავისი კანონები, რათა უზრუნველეყო უცხოელი ინვესტორების ქონების შენახვის გარანტიები, ასევე გამოავლინა სურვილი ვაჭრობის ხელის შემშლელი ბარიერების მოსპობისათვის, როგორიცაა კორუფცია და შრომის არეულობა. სინგაპურის სიუჟეტი სპეციალისტების აზრით , არის იმის მაგალითი , რომ ეროვნული განვითარების ყველა სასურველი მახასიათებელი (დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი, ცხოვრების მაღალი სტანდარტები და ა.შ.) ერთანეთს აძლიერებს.

გამომდინარე იქიდან რომ სინგაპურს, როგორც პატარა ერს, შრომისმოყვარე ადამიანების გარდა სხვა არაფერის შეთავაზება არ შეეძლო , გააცნობიერეს რომ უნდა შეექმნათ ფინანსური სანდოობა, ვინაიდან მოეპოვებინათ საერთაშორისო პარტნიორების ნდობა.

მისი მოდელი მოიცავს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ზრდას, რაც დღეს ბევრ ქვეყაბას ეხმარება პოლიტიკურ და ეკონომიკურ წინსვლაში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მთავრობა მიერ მუდმივად განიხილავდა დასავლეთის ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობებს და ახდენა ადგილობრივ ინვესტორთა წახალისებას რათა მათ ეაქტიურათ. მთავრობამ განაცხადა, რომ გარე ეკონომიკური ექსპანსია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს შიდა ბიზნესის განვითარების კუთხით, ძირითადად ორი მიმართულებით. პირველი , შეიქმნებოდა მოთხოვნა ადგილობრივ პროდუქტზე და მეორე სინგაპურის კომპანიებს საშუალება მიეცემოდათ ესარგებლათ რეგიონის სწრაფი ეკონომიკური ზდრით, რაც თავის მხრივ გულისხმობს ნაკლებ დამოკიდებულებას დასავლეთის ბაზრებზე ექსპორტის კუთხით. სახელმწიფო ასევე ეხმარებოდა და ამხნევებდა ადგილობრივ ბიზნესს გამოეყენებინათ შესაძლებლობები საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა სახის შეღავათებში. ინვესტორებს შერჩეულ სექტორებში გადაეცათ სუბსიდიები. სახელმწიფომ შექმნა გარემო , სანდოობისა და რეპუტაციის გასაუმჯობესებლად, რომლის საფუძველზეც უცხოელი ინვესტორები იმოქმედებდნენ. შესაბამისად მაღალი ნდობით და ხელშემწყობი გარემოს არსებობით კომპანიებმა შეძლეს მეტი რისკის და ვალდებულების აღება.

1998 წლიდან აღმოსავლეთ აზიის კრიზისის შემდეგ პერიოდში მთავრობამ აქტიურად დაიწყო ფინანსური და სატელეკომუნიკაციო სექტორების დერეგულირება. საბანკო სფეროში მთავრობამ გააუქმა 40% უცხოური აქციების ლიმიტი ადგილობრივი ბანკებისათვის, რის შემდეგაც უცხოურმა ბანკებმა შეძლეს კონკურენციის გაწევა ადგილობრივი ბანკებისთვის. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა ხელი შეუწყეს თავისუფალი ბაზრის პოლიტიკის სასიკეთოდ განვითარებას, როგორც სწრაფ განვითარებას და განვითარებადი ქვეყნების კეთილდღეობას. ყველა მაღალტექნოლოგიური და ახალი პროდუქტი შემუშავებულია და შექმნილია საზღვარგარეთ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სრული კონტროლი ბიზნესის ძირითად კომპეტენციებზე.

მას შემდეგ , რაც 60-იანი წლების შუა პერიდიდიან მულტიონაციონალური კომპანიები სინგაპურში შევიდნენ ადგილობრივ ბაზარზე უზრუნველყო-

2 Rodan, G. (1989). The Political Economy of Singapore's Industrialisation. London: National State and International Capital, Macmillan.

3 Baker, J. (2000). A Popular History of Malaysia and Singapore. Singapore: Times Media Private Limited.

ფილ იქნა როგორც მაღალი ხელფასები, ასევე გაზრდილი კონკურენცია. ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად სინგაპურმა წარმატებით ჩაატარა სასამართლო რეფორმაც. პირველ რიგში გააუქმთა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც მარტივად, ხმათა უმრავლესობით ნებისმიერი სახის განაჩენის გამოტანის საშუალებას აძლებდა ამ ინსტიტუტს, ხოლო მოსამართლეებად დაინიშნენ უმწიკვლო რეპუტაციის მქონე იურისტები საერთაშორისო განათლებით. მას შემდეგ, ნებისმიერ ინვესტორს, ადგილობრივ თუ უცხოელს, არასოდეს შეჰპარვიათ ეჭვი სინგაპურის ტერიტორიაზე მათი კუთვნილი ქონების უსაფრთხოებაში. სასამართლო სისტემის აღნიშნული სქემის მიხედვით , განსაკუთრებული სიფრთხილითა და მზრუნველობით უნდა მოპყრობოდნენ ინვესტორებს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც დიდ კაპიტალდაბანდებას განახორციელებდა სინგაპურში. არ უნდა დაშვებულიყო არცერთი პრეცედენტი იმისა, რომ პატიოსან ბიზნესმენს უსამართლობის განცდა დარჩენოდა.

ძალიან მნიშვნელოვანია ფინანსური სისტემის სტაბილურობის კუთხით გადადგმული ნაბიჯებიც, კერძოდ სინგაპურმა ცენტრალური ბანკის ნაცვლად სავალუტო საბჭო შექმნა. აღნიშნული საბჭო თავიანთი ქვეყნის ვალუტას, მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორების ვალუტისგან შედგენილი კალათის, საშუალო შეწონილი ფასების მიხედვით ადგენდა. მიმოქცევაში იმდენი სინგაპურული დოლარი გადიოდა, რამდენიც შემოდიოდა ეკონომიკაში სავაჭრო პარტნიორებისგან. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მკაცრი მონეტარული პოლიტიკა ჩამოყალიბდა, მსოფლიო კრიზისების დროს სინგაპური არაერთხელ გადარჩა და შეინარჩუნა დაბალი ინფლაცია.

ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ სინგაპურის მთავრობა გამოირჩევა ყველაზე მცირე ხარჯებით მსოფლიოში. საერთაშორისო რეიტინგებში, 2018 წლის მონაცემებით სამთავრობო ხარჯები 17.7% იყო მშპ- სთან მიმართებაში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური მონაცემებით (The Global Competitiveness Report 2018) საკუთრების უფლებათა დაცვით კუთხით მსოფლიო რეიტინგებში მე-3 ადგილზეა, სამოქალაქო სამსახურების მიმართ სანდოობის მიხედვით მე-2 ადგილზეა, დავების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობის მიხედვით კი მსოფლიოში 1-ელ ადგილზეა.[4]

მსოფლიოში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით სინგაპურის მთავრობამ დიქტატორული საშუალებები გამოიყენა, რათა ე.წ. "თავისუფალი ბაზრის" მოდელი გაეკეთებინა. თუმცა დღეს სინგაპურში ხელფასები ინარჩუნებენ საერთაშორისო კონკურენტულ პოზიციას. როგორც ჩანს, მთავრობის დირექტივებმა და ინტერვენციებმა წარმატებით შეძლეს კონკურენციის მაღალი დონის მიღწევა. ეს მთავრობის დირექტივები შეინიშნებოდა ისეთ სფეროებში, როგორიცაა შრომითი ბაზრები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები და იძულებითი დანაზოგი. სინგაპურის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დემოკრატია და თავისუფალი პრესა არ არის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი ფაქტორები.

სინგაპურმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კაპიტალის ბაზრის განვითარების კუთხითაც. სინგაპურის ფინანსური ცენტრის ძირითადი ასპექტი სწორედ მისი ღრმა და ლიკვიდური კაპიტალის ბაზარია. თავდაპირველად სინგაპურმა დაიწყო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პროგრამა, რომლებიც 15 წლიანი ვადით გაიცემოდა. შემგომი ნაბიჯები იყო ბაზრის ლიკვიდურობისა და დილერების ზრდის უზრუნველყოფა. მალევე დაფუძნდა რეპო დაწესებულება, მეორად ბაზარზე ვაჭრობის მხარდასაჭერად. ამასთან ერთად საგადასახადო სტრუქტურის ლიბერალიზაციაც განახორციელა და უცხოელ ინვესტორებს გაუადვილდათ სინგაპურის ბაზარზე ფასიანი ქაღალდების განთავსება. მთავრობის ყველა აღნიშნული ინიციატივა მიზანმიმართული იყო ლიკვიდური და უსაფრთხო კაპიტალის ბაზრის უზრუნველსაყოფად.

დასკვნა

სინგაპურის მთავრობამ უზრუნველყო საჭირო ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, სტაბილური პოლიტილური გარემო და ბიზნესის განვითარებისათვის საუკეთესო გარემოს შექმნა. სინგაპური მნიშვნელოვან როლს ასრულებს აზიის რეგიონში პოსტ კოლონიური ქვეყნების ბედის შეცვლის, ეკონომიკური ზრდის, პოლიტიკური სტაბილურობისა და გამჭვირვალობის ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა შეზღუდული იყო გეოგრაფიულად და ბუნებრივი რესურსების კუთხით, სინგაპურმა მაინც შეძლო და საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას.

ლიტერატურა :

1. Lee, Kuan Yew. 1997. *The Singapore Story*. Times Media Private Limited.

2. Rodan, Garry. (1989). *The Political Economy of Singapore's Industrialisation: NationalState and International Capital*, London: Macmillan

3. Baker, Jim. 2000. *Crossroads: A Popular History of Malaysia and Singapore*. Singapore: Times Media Private Limited.

4. Economic Development Board. 2002. *Heart Work*. Singapore: Economic DevelopmentBoard.

5. World Bank. (1993). *The East Asian Miracle: Economic Growth and Public Policy*, New York: Oxford University Press.

6. World Economic Forum, The Global Competitiveness Report 2018.

4 World Economic Forum. (2018). The Global Competitiveness Report.